**ბაკალავრი, იქვე, ოთაში მდგარი ჩონჩხის თავისქალაზე ათითებს**

არა მგონია, იმ ქალაზე უფრო მეტადაც ლირდეს ეგ თქვენი ფშუტე თავი, არც თუ თმახშირი.

**მეფისტოფელი, უწყინარი კილოთი**

მინდა შეგნიშნოთ: უზრდელობა არ ნიშნავს ჭკუას.

**ბაკალავრი**

თავაზინი გერმანელი ყალბი და ცრუა.

**მეფისტოფელი, სავარძელს აგანსცენისკენ მიაგორებს და პარტერს მიმართავს**

აქ, მაღლა, სუნთქვას მიკრძალავენ, ცოცხლადვე მჭამენ!

თქვენთან ჩამოვალ, შემიკედლეთ, მიშველეთ რამე!

**ბაკალავრი**

ჩემი თუ გნებავთ, თავხედობა უფრო ის არი, კვლავ რომ ფოლხავენ ბეხრეკები თქვენი ხნისანი. სიცოცხლე სისხლის დუღილია ახალგაზრდული, მასშია კაცის დასაწყისიც და დასასრულიც, სიცოცხლისგან ხელმეორე სიცოცხლეს სახავს, ძველი ქრება და არსებობა ეთმობა ახალს. ქვეყნიერების ნახევარი რომ დავიპყრით, თვლემდით? ოცნებებს ეძლეოდით? თქვენ სად იყავით! სიძერე განა სხვა რა არის, — ცივი ცხელება, თხელდება ჭკუა, დრო უაზროდ მიიწელება. კაცი ოცდაათს გადამცდარი, ყველა მკვდარია, არიან, მაგრამ ამქვეყნადაც აღარ არიან. რაც უფრო სწრაფად გავისტუმრებთ, უკეთესია.

**მეფისტოფელი**

აქ ეშმას სიტყვა უჟმოდაც უკვე თქსია...

**ბაკალავრი**

მე თუ არ შევთხზე, არ არსებობს ეშმაკი ისე.

**მეფისტოფელი, თავისთვის**

გაფრთხილდი, ფეხი არ დაგიდოს, მოიტქე კისერს.

**ბაკალავრი**

თვით შესაქმესაც სულ სხვაგვარი მივეცით რიგი! არ არსებობდა ეს სამყარო, მე შევქმნ იგი. მზეს მე მოვუძღვი, ჩემეული ახლავს ნათება, მე დავაწეს სმოვარის გზა და კლება-მატება. დღე ჩემით იწყებს გათენებას, ჩემთვის ირთვება, ჩემენ მოღელავს დედამინა მწვანე ზოროთებად. მე მარტომ დავსხი ვარსკვლავები ცის კამარაზე, ღამის წყვდიადი მათი ბრნყინვით გავალამაზე.

თუ არ მე, აზრი ვინ შესძინა მთელ ამ დროებას? ვინ გაგირდვიათ ფილისტერთა ეს ვიწროება? მოვალ, მოვდივარ შინაგანი შუქით აღვსილი, თავისუფალი, გზაგახსნილი, ხუნდებახსნილი.

(გადის.)

**მეფისტოფელი**

გასწი, იარე, ჭკუისა გჭირს, რა გაეწყობა, ერთ სიტყვას გეტყვი, არ გაწყებდა მაგის შეტყობა: ვერ მოიფიქტებ ვერც სიპრივეს, ვერც სიჭკვიანეს, უკვე ნაფიქრი რომ არ ჰქონდეთ ადამიანებს. ყველას და ყველს დრო აქვს და ვადა, ყბენცილკაცურო ჩაცხრები უინო, რაც უნდა ცეცხლი ეკიდნოს ბადაგს, დადუღდება და იქცევა ლვინოდ.

(მიმართავს ახალგაზრდა მაყურებლებს, რომლებიც ტაშს არ უკრავენ.)

რასაც გიამბობთ ეშმა ბებერი, არად არ მოგწონთ, დუმილს სჯერდებით. მანამ დაგრჩებათ გაუგებელი, სანამ თავადაც არ დაბერდებით.

**ლაპორატორია**

შუასაუკუნეობრივ წესზე განყობილი ოთახი. უცნაური ფორმისა და დანიშნულების ხელსაწყოები.

**ვაგნერი**

რა ზრიალია! რა რეკვა ატყდა! ჩამომჭვარტლული შეძრა კედლები! მორჩა, ეს არის, ახდება ნაღდად, რასაც ვეღვი და ვემედები. ჰა, ჭურჭლის შიგნით აინთო სხივი, გაუვერჩალს მიგავს, ლალისფრად ლვივის. მანათობელი თეთრი ზოლია, შუქიც და ჩრდოლიც მიმოჰყოლია. ნეტავ, არ ჩაქრება, ბოლომდე ენთოს! კარზეა ვილაც... ვინ არის, დმერთო!

**მეფისტოფელი, შემოდის**

მოგესალმებით! მომიყვანა კეთილმა ძალამ.

**ვაგნერი, შემერთალი**

კეთილი იყოს თქვენი ფეხი, მეც გიძლვნით სალამს.

(ხმადაბლა.)

სიტყვაც და სუნთქვაც შეიოკეთ ორიოდ წამით, დიდი საქმე ახლოვდება, ვარსკვლავთა ჟამი!

**მეფისტოფელი**

მაინც რა საქმე?

**ვაგნერი**

კაცის შექმნა.

**მეფისტოფელი**

მერედა, წყვილი?

ჯერ არ შესენია მსგავსი საქმე უწყვილოდ ქმნილი.

**ვაგნერი**

დროა, დავაგდოთ გამრავლების უხამსი წესი, ან კაცა მოდგმა აღარ უნდა ჩავსახოთ სქესით. სუსტი წერტილი, ინყებოდა სიცოცხლე რითაც, ჯერ შიდა შრეებს იერთებდა, მერე გარეთას, ფართოვდებოდა და თავის თავს თვითონვე ქმნიდა, მაგრამ ან მორჩა, შეიცვლება დღეს ვითარება, რადგან ის, რასაც უწყებენ ზოგჯერ სიამეს, შეცვერის პირულებს, მაგრამ არა ადამიანებს, ხოლო თუ კაცი მაღლა ისახლია სხვა ყველა არსზე, ნარმოშობითაც არ ემგვანოს არსთაგან არცერთს!

(ქურისკენ მიტრიალდება.)

ნახეთ, ინთება! ეს იგი, ბოლო ცდით ჩვენით, ასი ათასი ნაზავისგან შემდგარი ხსენით, სრული მასალა კომპონირდა, სათხზველი კაცთა, კოლბაში ნელა ვერლუტირდა, თანდათან დანდა, კოსობიტირდა, არ იმღვრევა სხვა რაიმეთი, რაც ისახავს, სრული ნარმატების გაჩნდა იმედი.

(ქურაზე დაიხრება.)

სულ უფრო ცხადად ამოძრავდა შეკრული მასა, კიდევ ცოტაც და გამოჩნდება სულ ბოლო მივჯანა: ბუნების უღრმეს საიდუმლოდ ვსახავდით რასაც, დღეს უკვე ცდების საგანია, გონებით ვინჯავთ. ორგანიზების ბუნებრივი ძველი თვისება ახალ პროცესად შემობრუნდა, კრისტალიზებად.

**მეფისტოციურელი**

იგი, ვინც ბევრი იმგზავრა და ბევრი რამ ნახა, ვაგლახ, ძნელადა, ნაწყვეტი სანახავს ახალს. უფრავალებს ვისმე შევხვედრივარ ავლილს თუ ჩავლილს, კრისტალიზების მოწმეცა ვარ კაცისა მრავლის.

**ვაგნერი**

იკვრის, შენიგთდა! რაც თვალნათლივ იძლევა ნიშანს, ნამიღა დაგვრჩა, სინჯარას სიცოცხლე იშვას. თავიდან დიდი განზრახვები ბრივულინი ჩანან, დაგვცინის ხალხი, ასახდენი ახდება სანამ. როცა იქნება, კაცის აზრი მეტსაც მაღარევს, გონებას შექმნის ხელოვნურს და უგამჭრიახეს. (აღტაცებული სახით დასცექრის ქურჭელს.)

ერთი უსმინე, რა წერიალი ჩადგა მინაში!

ქრება და ჩნდება მოცახცახ სინათლის წვეთი! ციცენა კაცუნა ჭურჭელშიგნით დგას ჩვენ წინაშე, სხვა რა ვინატროთ? რა ინატროს სამყარომ მეტ? პატარა, მაგრამ ეკეთილაღნაგი, კაცისელია ყველა ნახანაგით. კაცის ხმად იქცა მინის ზრიალი, სიტყვად მობგერს და შიგ აზრი არი!

**ჰომენეულუსი, ჭურჭლის შიგნიდან, ვაგნერს**

რაო, მამიკო, ქანცი გაგდვრა? ჭირაჭამი ხარ? რადას უყურებ, დამესარე, გულში ჩამიკარ, ოლონდ, იცოდე, ფრთხილად იყავ, არ გატყდეს მინა, ჩემი საკანი, ხელოვნურად შექმნილთა ბინა. ცა და ქვეყანა სივინროვედ უჩანთ ბუნებრივთ, ჩვენ კი დაბაზულში უნდა ვისხდეთ ხელოვნურები.

(მეფისტოცელს.)

აპ, ეს შენა ხარ, შე თაღლითო? გმადლობ, მოხვედი. გმართებს, მომხედო, სახლიკაცად რაკი მომხვდები.

ეტყობა, ბედმა გადმოგაგდო ჩემს სიახლოვეს, ვჩერარი არდაგის შემოჭერას, ძალთა მოკერებას. რახან ვარსებობ, ავმოქმედდე უნდა ახლავე, შენ ერთადერთი რამ გეხება, — გზის შემოკლება.

**ვაგნერი**

გამოგიტყდებით, ჩემი თავის მევე მრცხენია, გადაუჭრელი საკითხები გარს იმდენია. თუნდაც ავილოთ სულისა და ხოლოც იცოდე, ფრთხილად იყავ, არ გატყდეს მინა, ერთმანეთის თუ შეიქმნებ იმ დასაბამით, ერ

**პომუნკულუსი**  
ხედავთ, რას უჭვრეტს?

(მინის ქურჭელი ვაგნერის ხელთაგან გასხლტება,  
ფაუსტს დაპერუნავს და დაპარატის თავზე.)

სილამაზე აკრავს ხალასი!  
მშვენიერ ქალთა გუნდი მოჩანს წყლისპირს, ჭალაში...  
ტანთ გაუხდიათ... ის დინ არის? დედოფალია?  
ლერტებისა თუ ლერტკაცების მოდგმისად ვცანი.  
ნელა გაშიშვლდა, მოლო კორდიც ნელა ჩალია,  
მსუბუქ ჭავლებში გაიგრილა მხურვალე ტანი.  
მაგრამ რა ჩქროლვა-შრიალია, რა ქროლვა ჩქარი?  
წყლოვანი სარკე ფრთათაცემის იმსხვრევა ქარით.  
შემნიშვლი გარბის ყველა. დედოფალს მარტოს  
მოულონელი სანახავი არ აკრთოს, ართოს.  
მალე ქალური სიამისაც იგრძნობს სავსებას,  
როცა მის კალთას მეფე-გედი მიეტმასნება  
ძალუმი ძალით. ამგვარ საქმეს, ჩანს, ჩვეულია.  
მაგრამ უცრად, სანამ ვნება გადაკვალთავდათ,  
ნისლი ჩამოწვა, გადაფარა ტევრი სრულიად,  
და მშვენიერი ეს სურათიც გაქრა თვალთაგან.

**მეფისტოფელი**  
ასე პატარა — და მეზღაპრე ასეთი დიდი!  
არც კი გრცევნია, მოლანდებულს ნანახად ყიდი.  
ვერაფერს ვხედავ მე მაგდაგვარს...

**პომუნკულუსი**  
სავსებით მჯერა.  
ჩრდილოელი ხარ, დაგხშობია ნისლისგან მზერა.  
მღვდელმასაზურების, რაინდობის ხრიოკმა გზარდა,  
სხვას რას ნახავდი, ჯანდისა და კლდების გარდა!

(მიმოიხდაგს.)

ჩაუამებული თაღ-ფანჯრები ისრული წყობით,  
ჩალატებული სივიწროვე ხავსი და ობი...  
გაიღვიძებს და — ისევ ისე ეგ ძველი ფუქე!  
შიში მაქვს, გული გაუსკდება ზაფრისუან უცე!  
სულ სხვ მხარეში იმყოფება ახლა მიმნებით —  
თეთრი გედები, მობანავე ლამაზმანები...  
ველარ იგუებს, ტყუილია, ამ ყოფას დუხტირს!  
მეც მიჭირს ჯდომა გამოკეტილ, შემინულ ხუფში.  
შორს, შორს აქედან!

**მეფისტოფელი**  
ბარემ გვითხარ, სად მიგვიძლვები!

**პომონკულუსი**  
ყველას ის შვენის, ბუნებითად მისი რაც არი!  
მამაც ჯარისკაცა რა შეფერის? მოი ფიცხელი,  
კონტა ქალიშვილს — ცეკვა-როკვა, სიცილ-ტკარცალი.  
ამ მეტროფს კიდევ, მომხვდარი ვარ, ვაამებთ რითიც, —  
დღეს კლასიკური ვალურუგობის ლამეა დიდი,  
მივიყვანოთ და შეერთება თავის სტიქიას.

**მეფისტოფელი**  
რაც არ მივლია, ეგ აღლუმი არ გამიგია.

**პომუნკულუსი**  
სად გაიგებდი, რომანტიკულ ლანდებს ედები,  
გძულს კლასიკური სახებანი, ძველი ხედები.

**მეფისტოფელი**  
არ მხიბლავს ყოფნა მაგ მხარეში, დაგემონმები.  
მაფრთხობენ ჩემი ელინური ძველი მოძმენი.

**პომუნკულუსი**  
სატანავ, ჩრდილო-დასავლეთის გიყვარს ნაპირი,  
დღის ილონდ სამხრეთ-აღმოსავლეთს შევეფარებით,  
პენეიონის დასწრივი მიდის გზა პირდაპირი,  
დამა და დამა, თუ ტევრებით, თუ ბუჩქარებით.  
გარშემო დიდი მინდვრებია, მთები მაღალი,  
და ფარსალუს მდებარეობს, ძველიც, ახალიც.

თარგმნა დავით თერთიანევა

### მეფისტოფელი

მოვრჩეთ! გამიშვით! არ მჭირდება ის ძველი დავა!  
მონიბისა და ტირანისი კვეთება მტრული!  
ჩაცხოება, ისევ დაიგზნება, ზღვა სისხლად წავა,  
არ იქნა, ველარ ამოთავდა, გაწყალდა გული!  
ეჭვს ვერ იღებენ, რომ მიზეზი ასმოდევსია,  
ჩუმად დაძრებება, ყველა შუღლი მისგან თესია.  
„თავისუფლება!“ — აღტაცების ისმის ძახილი,  
არადა, მონა მონას ებრძვის ხელში მახვილით.

### პომუნკულუსი

ასეა კაცი, სიჯიუტე დაჲყვა ბუნებით.  
ვისაც რა ხეროლვა-შრიალია, რა ქროლვა ჩქარი?  
წყლოვანი სარკე ფრთათაცემის იმსხვრევა ქარით.  
შემნიშვლი გარბის ყველა. დედოფალს მარტოს  
მოულონელი სანახავი არ აკრთოს, ართოს.  
მაღრამ შევეშვათ... ჯერ ამ საწყალს ვალირსოთ შველა.  
როდემდე გვინდა შევატვოვთ თავის ზმანებებს!  
შეძლებ, უწამლე, ვერ შეძლებ და მე დამანებე.

### მეფისტოფელი

რამე ჩემებურს ბარე ვცდიდი, ბროკენულს რასამ,  
მაგრამ ის კარი წარმართულმა დამიხშო რაზამ.  
ისე, ბერძნებზე დიდი აზრიც არ დამრჩენია,  
გრძნიბადის იქით ვერას ხედავს მათი გენია.  
ხალისიან და ლამაზ ცოდვებს სთავაზობს მსურველთ,  
ჩვენი კი ყოვლად უსახო და ქუფრია თურმე.

### პომუნკულუსი

ვინძლო მაგ ცოდვებს ფერხორციანს შენც კი დანებდე!  
გამენია რამე თესალიელ კუდიანებზე?  
გაიგონებ და უეჭველად დაეხარბები.

### მეფისტოფელი, მსუნაგი სახით

ო, თესალიელ კუდიანებს ვეტრფი, ცხადია!  
ოღონდ შორიდან. ახლო მისელა არც მიქადია.  
გამომიყითხავს შიგადაშიგ მათი ამბები.  
არა მგონია, დამით დამე დავრჩე მაგათან.  
მაინც მოვსინჯავ — ორი-სამი მისვლაც რა გახდა...

### პომუნკულუსი

დღონა, აბაური შენი ძველი წამისასხამი,  
ჩვენი მიჯუნური გამოვხვიოთ, მოყმე საწყალი.  
მაშინდელივით აფრინდებით ჯადო-ჭინჭიბით,  
მე გაგინათებთ, სამივენი შორს გავიჭრებით.

### ვაგნერი

მერე მე რა ვქნა?

### პომუნკულუსი

რა უნდა ქნა, შენ აქ დარჩები,  
რამდენი რამე გელოდება საქართ-სარჯელი.  
ნუ აჩქარდები, იყავ დინჯვი, იღვანე ნელა,  
შეიცან ყველა „რა“ და „როგორ“, ჩახედე მიზეზს.  
მე კი იქამდე გარე ვივლი სკენელიდან სკენელად,  
მინდა, ნერტილი ჩემი ხელით რომ დავსვა „ი“-ზე.  
შენს მაღალ მიზანს თუ ეწვეო, გაცლის დროება,  
მაშინ, ი, მაშინ საზღაურიც მაღალი გელი:  
ოქრო, სახელი, წარჩინება, ცხოვრება გრძელი,  
და, იმდინა, ცოტა ცოდნაც და სათნოებაც...  
აბა, მშვიდობით!

### ვაგნერი, მწუხარედ

გული მიგრძნობს, წახვალ და წახვალ.  
მშვიდობით გევლოს! აღარასდროს მომინევს წახვა.

### მეფისტოფელი

ვერ ვიზამ, ხათრი არ მივაგო, ჩვენი მისხია,  
პენეიოს ზე ჩასელა უნდა, გზა გამიხსნია.

(მაყურებელს.)

როგორც იქნება, უნდა ვცადო შეხმატკილება.  
ასეა ხოლმე: საკუთარი გვმართავს ქმნილება.

### აკა მორჩილაძე


## ნაცერები

### 3 არღის

### და გულგულისა

სუმბუქი საგაზეთო სერიალი  
დასაწყისი №160-164

ხევაპვეს სარია — ან თააგებ, ან იცოცხებებ



1.

ყარა ისმაილის აღმართზე დიდად არ უთანაგრძნობდენ განძის მაძიებლებსა და მათ მონინააღმდეგებებს. ყარა ისმაილსა ზედა მარადი ცხოვრება ხელენიფებოდა. იქ მოსვენებით შეიძლებოდა ყოფნა.

შუშაბანდებში ძეველებურად აგორავებდნენ კამათელს ნარდის დაფაზე. თოთქოს არაფერი ხდებოდა.

აბულასანი ვიწრო სადარბაზოში შევიდა, ფრთხილად გადააბიჯა ფეხსანდენზე გაგორებულ შუქურ მემზე-სუმბირის ძალს და კაბეს შეუყვა.

ოთახში შესულს ამორთველი არ უძებნია, ისედაც დაინახა ღუმელთან მიმჯდარი კაცი.

სქელნარბებიანი მელოტი კაცი იყო, შეშინებული თუ გაბედული, უცებ ვერც მიხვდებოდი.

აბულასანი კარს მიყურდნო ზურგით.

ღუმელთან ტაბასიჭ მდივანი იჯდა.

— ძალიან გთხოვთ, არ აყვირდეთ, სხვა გამოსავალი არ მქონდა, — ნამდიდა ნამდივნარი.

აბულასანს ხმა არ ამულია. ერთი წამით ისიც იფიქრა, რომ დედალოსი მიჯდა და მიმჯდარი კაცი.

— აბულასანი ვიწრო სამითვებიანი მომულების მართვის მიმული იჯდა.

— ერთი-ორი ღუნდა უნდა გამათვეინოთ. თუ დამიტიქეს, ნანილ-ნანილ დამჭრიან და არ მითხრათ, დაგჭრან, მერე მერა არ მივარათ. ეს თქვენ არ შეგვეფერებათ. თქვენთან არავინ მომენის. აბა, ვინ მომენის დედალოსის მოადგილესთან?

— მე უკე გადავდექი, — უბასუხა აბულასანმა, — ამიტომ, შეგიძლია, თვ

— ეჭ., — ამოიხორა ტარსაიჭმა.  
აბულასანი რატომლაც გახალისდა.  
— აბა, ამოალაგვ შენი პურმარილი, —  
უთხრა ტარსაიჭმა.  
ამან უბიდან არყის ბოთლი ამოაძრინა.  
— რუსულია, — თქვა მხიარულად, —  
ჰერცოგის დახმარება.  
— ვაპ, ჰერცოგი გაპარსეთ?  
— მაშ როგორ, მაშ როგორ...  
ტარსაიჭმა შავი აბგიდან სამი ცალი  
კონსერვის ქილა ამოაძრინა და ღუმელზე  
შემოდა.

აბულასანის ხელები მოიფშნიტა.  
— ასე მგონია, რომ ტყეში ვარ და ჰერცოგის კონსერვის ვჭმა. ადრე პარტიზანებს უგზავნდა საკვებს. მიდი ერთი, გახსენი.  
ორი ყლუპი მომიტდებოდა...

ტარსაიჭმს გაცინა.  
— ეკაბლიანმაც ასე იცოდა. მთელი  
დღე ჯაჯლანებდა და საღამოობით სვამ-  
და.  
აბულასანმა ჩინური ფინჯნები გამო-  
ოლო.

— მეტი არაფერი მაქვს, ამაში ჩამო-  
ასხი.

— ერთი სახარება შეგვენის, — თქვა  
ტარსაიჭმა და გადაპკრა.

— ვაპ, შენ ეგეთები საიდან იცი? —  
ნერფელად გაუკვირდა აბულასანს, — ან-  
ვარ ჯანმა გასწავლა?

— არა, მამაჩემმა იცოდა ხოლმე, —  
მოიწყინა ტარსო-მდიგანმა, — საწყალი  
მამაჩემი ასე ილოცებოდა...

— ჰოდა, მამაშენი მოვიგონოთ. ღმ-  
ერთმა რაც აქ დააკლო, იქ მიუვიდეს. იქ  
შენი თავი არ მოანაცროს, — აბულასან-  
მაც მიყუდა ფინჯანი.

სტუმარი კონსერვის სახურავს  
აწვალებდა დანის პირით.

— მამაშენს რა ერქვა? ქალაქელები  
ხართ? — გამოცოცხლება აბულასანი.

— მამაჩემს, — ქილა დადგა ტარსაიჭ-  
მა და გაჩუმდა.

ერთხანს ასე იყო, გარინდული და  
თითქოს გულმონურული.

მერე კი თავი აიღო და მასპინძელს  
პირდაპირ თვალებში შეხედა:

— მე სულ მინდოდა, რომ... ყველას ვეზ-  
იზლებოდი და... რა ვიცი, მე სულ სასარგე-  
ბლო საქმეს ვაეკეთებდი და ახლაც ვაკეთებ.

— რა იყო, ბიჭო? — მხარზე ხელი დაპ-  
კრა აბულასანმა, — დარჩი-მეთექი, ხომ  
გითხარი. შენ კი არა, ქვაბლიანი რომ  
გაიცეს ციხიდან, იმას გავათევინებ  
ღამეს.

— არა, ეგ არა, ბატონი ილია. თქვენ  
მეითხო, მამაშენი ვინ იყო და უფლება  
არა მაქვს, ეგ გითხარა, მაგრამ არც იმის  
უფლება მაქვს, თქვენს ჰერცეგვ ვიყო და  
არაფერი გითხრათ. მე არ ველოდი, ალ-  
ვერდის შეილიშვილი ვარ...

აბულასანს ფინჯანი შეცაცივდა ხელში.

— მოიცა, შენ რა, გიგინას ბიჭი ხარ?  
თუ მაყვალა-იძებდი? გიგინასი ხარ, გი-  
გინასი. მაყვალას ქმარი აქ იყო გუშინინ,  
ნაწერები უნდა გამოვცეო. არა?

ტარსაიჭმს არაფერი უთქამას.

— მოიცა, გიგინა ხო სტამბოლში ნაი-  
ვანა, — ხელები გაასავსავა აბულასანმა,  
— ახლა, ნუ ცულლუტობ, ბიჭო, შე ძენა-  
გამომტეხლო.

— არ გჯერათ, — მნარე დარმოთქვა  
სტუმარმა, — არც გაგემტყუნებათ. მე  
არავინ დამიჯერებს. თვითონ არ მჯერა  
ჩემი თავისი. გადამიყოლა შაითანბაზარმა,  
ამ საშენებლამა ნიღაბმა...

ნამდივნრმა დასხა და დალია.

აბულასანი შეწუხდა.

— მე არა მაქვს უფლება, აგიხსნათ ეს  
ყველაფერი. მე აქ... მოკლედ, ხვალ-ზეგ  
დედალოსის მთავრობა უნდა გაიცეს და  
ქვაბლიანიც უნდა გაქრეს ციხიდან.

— რა სისულელეა. იმ შენგან გადარეუ-  
ლი ხალხის გულისთვის? მე მივალ და  
ვეტყვი, რომ ხელი არ გახლონ. მაინც ამ-  
ბობდნენ შეწებ, დაიჭირესო. მამალო ამ-  
ბობდა, დაჭერილია. ყველა ასე ამბობდა  
დღეს და. რამ გალაქლაქა ის სისულელე-  
ბი ხომლელ რაინდებზე? ჩემთან პატარა  
ენდრო იყო. ენდრო მაშალისანი...

— თქვენ გჯერათ, რომ გიგინას ვაჟი  
ვარ? — ჰერცოგი იყო არა ტარსაიჭმის.

— გიგინა ბავშვი იყო, აქედაც რომ გაი-  
ცა... ასე არ არის? ვერაფერი გავიგე...

ტარსაიჭმა საკინძე შეიხსნა და ძენებუ-  
ლო მობმული ავგაროზი დანანა აბულასანს.

— აი, მთელი სიცოცხლე ამას ვატარებ.

ბაბუაჩემის სახსოვარია. ამ ქვეყნის ჯავ-  
რმა გადაიყოლა. ნახეთ, რა ნერია?

— ღმერთო, იხსენი შაითანბაზარი, —  
ამოიკითხა აბულასანმა.

— აი, ეს, — ტარსომ თითბრის ფირფი-  
ტა გაუნოდა ილიას, — აი, ეს ერთი... ამ  
ნიშნით ყველა კარი იღება ჩემთვის. ეს ჩემი  
ნომერია... მეტს ვერაფერს გეტყვით... ოცი  
წელიანდია, რაც აქ ვარ... მე დიდ, ლამაზ,  
ბედნიერ ქვეყნაში დაგიბადებდე.

— არ მჯერა, — ძალისძალად ამოთქ-  
ვა აბულასანმა, თუმცა მიხედვა, რომ  
სჯეროდა, — შეწებ ამბობდნენ, ასიკა  
ასურასტანის მონაცემიდან.

— ვიცი, ვიყავი კიდეც. ოღონდ არა  
საქმისის საზოგადოების.

— ერთი ჯაშუში იყო უკვე აქ, — ამ-  
ოიხორა აბულასანმა, — შენ მეორე ჯაშუ-  
ში ხარ? ერთად ხართ?

— არ ვიცი, ვინ იყო...

— კაცი იყო, ჯანიანი. უცხოელი. ჯაშ-  
უში ვარო, ასე გამეცნო, რაღაც სისულე-  
ლეები მითხავა და მე ვუთხარი, შაითანბაზ-  
არას ვერ გაუგებოთქო.

აბულასანი დადუმდა.

ჭს თითქოს ნაწყენმა.

— რა? — ნამოდგა ჯაშუში.

— სახლი ინვის იქეთ, გაღმა უპანში.  
ალპათ, რომელიმე სამთავრობო. დიონისის  
ოსის აპარტამენტი ხომ არ იქნება?

ტარსაიჭმი სარკმელთან მივიდა.

— დაინწყო? — მნარე დამოთქვა ილ-  
იამ.

შემცბარი ტარსაიჭმი სარკმელს მოშორ-  
და და საათს დახედა.

აბულასანი ითხოვდან გავარდა და  
სწრაფად დაეშვა კიბეზე. ტარსაიჭმი კვლავ  
სარკმელთან იდგა. უყურებდა, როგორ  
ჩარბიდა მოხუცი ყარა ისმაილის დაღ-  
მართზე და რატომლაც ეცოდებოდა იგი. საუცხო  
ჩინებოდა, თუ გაუძლებდა.

აბულასანი მონაცემი და მოხუცი და  
გაოგნებული მოხუცის თვალინი გაბარი.

— გუშინ ინტერვიუზე გეძებდით, —  
ხვისტინებდა ფორ.

— ომ, უკვე სარდაფში ვიჯექი.

— ინსტრუქციას ველოდი. ოთხ საათზე  
მივიღებ და დავიწყებ.

— ყველაფერი იქენი?

— ჯერჯერობით, მიდის.

მერე ირივებ მოხუცის მოხედა და ტარ-  
საიჭმა, დაშვივიდებულმა და სახეზელმილ-  
გადაფენილმა, მიმართა აბულასანს:

— ბატონი ილია, ჩვენ ერთ საქმეს ვემ-  
საურებით.

აბულასანმა სახევარ საათში დაბრუნდა.  
მერე ირივებ მოხუცის მოხედა და ტარ-  
საიჭმა:

— აბულასანმა სახელი ხელებში თაერგუ-  
ლო იჯდა სანოლზე.

— ეს არ იყო ქაბლიანის დროება. რაღაც  
უფრო დიდი და სამინელი იყო.

## 2.

შაითანბაზორის პანანინა აეროდრომზე  
კი ჰერცოგ გლოჩესტერის თვითმფრინავი  
ღმუოდა. ჰერცოგს ელოდნენ, ის კი არ  
ჩაწიდა.

ჯეკი ცდილობდა, რაცი და გავიდი-  
ბოდა პატრონს ან მის რომელიმე მცველს,  
მაგრამ მალევე დაატყო, რომ იმ საღამოს  
რადიოსახშირები გადაეკეტათ. ჯეკი  
გამოცდილი კაცი იყო და მიხედვა, რომ  
გადამცემი ტყუილად არ დაღუმდებოდა,  
ჰერცოგის ანძას რაღაც ფრთხოებით.

შან ორი კაცი იახლა და მანქანაში ჩა-  
ჯდა. გეზი საროსტანის სახლისკენ აი-  
ღოდა. სადაც საათნახვრის ნინ დატოვა ჰერცო-  
გი.

ლამით კი წვიმდა, ქარი გვარიანად  
არყევდა თოდისაკი ბრძენის ფარლალა-  
ბულებულას. აბულასანი ვარ-ასფაგურის ქვ-  
აბები შეყრილ პატიმრებზე ფიქრობდა.

— ცხენიანი კაცი, ცხენიანი კაცი, —  
დაინრიპინა უცებ მოხუცმა.

ბოლვას გავდა. აბულასანსაც ბოლვა  
ეგონა და მხოლოდ გვერდი იცვალდა.

აბულასანი გარინდულიყო.  
— ჩამო, რაღას განონილხარ...  
— მიდა, ავთანდილო, — მოესმა თო-  
დოსაკის ხმა, — მიდი. ეგ არი რო, სად  
გაიქცევი?

აბულასანმა ნელა წამოინია და ხელის  
ფათურით მოძეპნა პირველი საფეხური.  
— სკელია, ბიჭო, ავთანდილო, ნელა  
მიყევი...  
— ბრძნია, მა რა არი ეს კურთხეული!

— შესძახა დუხტიამ და პოეტის ნაბადი მი-  
უგდო, — კარგა იყავი, პაპა, უკეთეს დრო-  
ში მენახე. მეფე რო გავხდები, შენ წაგი-  
ვან მეღვნეოდ!

— ავთანდილო... — გაიგონა აბულა-  
სანმა და ჭარეც ჩაქრა იქ, მაღლა.  
— ბრძნია, მა რა არი, ყველაფერი  
იცის, — ჩაილაპარაკა შემრიგებულმა და  
ცხენს დეზი ჰერა, — ჩოხაც ვიშვნენ, ხუ-  
უნიკელო...

და გააჭერს გაღუნპულებმა დაბურულ  
ტყეში, უმთვარო ღამით და მხოლოდ  
გამოენისას, უღელტეხილზე მოხდა ის,  
რაც ადრევე, ტყეში უნდა მომხდარიყო,  
მაგრამ გადარეული შემრიგებლის წყალო-  
ბით უღელტეხილამდე სულიც ვერ  
ჩაბრუნეს.

— შენა და, ხუსუნიკელო, — ამოთქა  
დუხტიამ, როცა ცხენები შეავენეს და ერთ-  
მანეთს შეხედეს, — შენთან ვიყვი, ქალაქ-  
ში.

აბულასანს თითქოს ურო დასცეს თავ-  
შიო.

— ქალაქში? — ძლიერ ამოისუნთქა.  
— ხო, შენთან ვიყვი სახლში.  
— მერე? — სული დაელია ილუშა.  
— არაფერი, მერე. შენს სახლში გამომ-  
ტეხელი ზის. ელოდებიან. შენი ცოლიც  
გაუცილებიათ იქედან, ალბერტილში ჰყავ-  
თო.

აბულასანს ენა დაება.

— კაცმა მითხრა, იუსუფა ვარო. შენზე  
სთქვა გაქცეულა. მეზობელი ვარო...  
გაიგე?

აბულასანი მხოლოდ წამით შეყვონდა  
და მერე ხმადაბლა, თუმცა მტკიცედ თქვა  
ის, რის თქმასაც თოდოსაკისთან ყოფი-  
ნას აპირებდა:

— წავედო.  
— წავედო? — ცხენი აუცეკვდა დუხ-  
ტია მეხამლეს.

— ჰო.

— სად წავედო?

— ქალაქში.

— და რათა? ცოლის გამოსახსნელად?  
— ჰო... რა ვიცი.

— აქედან ყარასამდი უფრო ახლოა,  
ვინემ აფსუშმდე.

— წავედო, — ცხენი მოაბრუნა აბულა-  
სანმა.

დილაბანდში ჩანდა მისი მიტკალივით  
სახე.

— აგე, გახედე, — სამხრეთისკენ გაიშ-  
ვირა ხელი შემრიგებულმა, — ეგ ოსმალე-  
თია. მე რო მითხრა, ცოლი თუ თავისუ-  
ფლებაო, ვიტყვით თავისუფლება, იმიტო,  
რო სინამდვილეში თავისუფლებაარი, რაც  
არი. იმდენი ჯავრი მოსდევს სათრევად,  
რო... ველარ დაიწყებ ესაოდა ისაო. შენ თუ  
გინდა თავისუფლება, აგე, სად არი... შენ  
თუ გინდა...

— მაგრათ, ბიჭებო, — აბულასანი არ  
უსმენდა დუხტიას, მდუმარე ყაჩაღებს  
ეთხოვებოდა.

— მაიცა, ხუსუნიკელო... — შესძახა  
უცებ შემრიგებულმა, — გულშირა გიდევს?  
— რა უნდა მედოვა?

— გინდა, ხელა ჩვენაც მოვტრიალდებ-  
ით და ალბერტილს დავეცეთ, შენი ცოლი  
გამოვიტაცოთ და გამოვქანდეთ. ბრძნე-  
თან დავისვენოთ და მერე აქეთ გამოვა-  
ჭენოთ.

— არა, — თქვა აბულასანმა, — არა.  
შენ რა შეაში ხარ?

— არა კი არა, გადაწყვეტილია. რას  
იტყვი, არისტოფან?

— წავიდეთ, — უდარდელად გაეპასუხა  
ყაჩაღი.

— არა. ჩაგვხოცავენ. თქვენი საქმე არ  
არის.

— რასაც ეხლა შენ შეები, ხუსუნიკე-  
ლო, ეგ არი მთხლე. შენ ვაჟაპობა გამონია  
და არი მთხლე.

— არაფერი, არ მგონია.

და თხოვენი დუმდნენ ერთხანს.

ბოლოს ისევ შემრიგებელმა თქვა:

— კარგი, შენ წადი. ჩვენგზას ვერევით...

და ისე, რომ აღარც შემოუხედავს,

მათრახი გადაუჭირა ცხენს...  
ნვიმების დრო იყო.  
ნვიმდა და ნვიმდა.

პატიმართა ლამის ნახევარი ავადმყო-  
ფობდა — სველ ვარ-ასფაგურის ქვებებში  
ლამენათევი, ფილტვებდახავრეტილი და  
დასუსტებული.

მათ მაინც მიერეკებოდნენ ორმოების  
სათხრელად, რადგან ასურასტანის აზრით,  
რაღაცის კეთება მაინც შეეძლოთ.

ბოლო კვირას საიდუმლო მრჩევლის  
ცხოვრება პაპიროსის გაუთავებელ წევად  
და ორმოებზე გაუთავებელ ფიქრად  
ქევულიყო...

ასურასტანი ზარის ლილას დააწევა და  
შემოსულ დავითავის კადრის პერია:

— ამალია შვიდეაცა გაუშვი?

— ეტლით, — ჩაიხითხითა გამომტებ-

ლობი.

აკა მორჩილაძე

საკითხში. მოჭიდავეები უნდა გვასხდნენ  
თავზე? ხომ უნდა შეგვეხედებოდეს მსოფ-  
ლის თვალში?

აბულასანი ჩამოჯდა და ჭერს ახედა.

— რაც თქვენ ხართ აქ... ჩემთვის არა-  
სოდეს უკითხავთ, რა მინდა. სულ იმას  
მეუბნებით, თქვენ რა გინდათ. ამიტომ,  
ჩართალი ვარ.

— თქვენ ამირბარი გინდოდათ. რა  
უნდა მეკითხა?

— მე ადამიანური ცხოვრება მინდო-

და. რას გავს აქაურობა. სწორედ გუშინ  
ამოვიარე. ამალია დააპატიმრეთ, ამას  
იქით ალარაფერი. როგორც თქვენ არ ვი-  
კითხავთ და დამაპატიმრეთ, ისე აუკითხ-  
ავს სხვას და გამაქაცია, რომ ჩაგვაბით სია-  
მის ტყუპებივით... კი არ ვნანობ. ზღაპრუ-  
ლი დღეები იყო. რომ შემეძლოს, ისევ

აკა მორჩილაძე

## ნაცერეპი ვარდის და გულგულისა სუმბუქი საგაზეთო სერიალი



— ამოიყვანე ის, თუ გაიღვიძა.

— გავალივებ, ბატონო...

— არა, არა...

ატალახებულიყო გადათელილი ალ-  
ბერტილის ბაღი. პოლკოვნიკის გულს  
უკლავდა მისი ხილვა. ამდენ წელითადს  
თავს დასტრიალებდა და ჰა, ორ-სამ დღე-  
ში მოისპონ იქაურობა. ეს წყეული პატიმ-  
რები თითქოს საგანგებოდ თელავდნენ.

აა, რომელი ციხის ეზოში იქნებოდა ამა-  
დენი ვარდი? მსოფლიოში ვერსად ნახავ-  
დი ამას. ერთი ხანიც გამოხდებოდა და  
მოვიდოდნენ უცხოელები, ნახავდნენ და  
ამითაც გაოცდებოდნენ. ყელაზე ლამაზი  
ყველაზე მყუდრო და უცნაური სატუსალო.

შეითანაბარი ლამაზი იქნებოდა. იტყოდ-  
ნებ, არის იქ ერთი, მაღალ-მაღალი და  
ტანხმელი მოხუცი, ლეგენდებიდან გადა-  
მოსული გვარითა და სახელით. იგი საო-  
ცარი მმართველი ყოფილა, თავისი ხელი და  
შეითანაბარი ლამაზი იქნებოდა. იტყოდ-  
ნებ, არის იქ ერთი, მაღალ-მაღალი და  
ტანხმელი მოხუცი, ლეგენდებიდან გადა-  
მოსული გვარითა და სახელით. იგი საო-  
ცარი მმართველი ყოფილა, თავისი ხელი და  
შეითანაბარი ლამაზი იქნებოდა. ასე-  
ნა ასე არ იცი?

ასურასტანი არაფერი უთქამის, ყიური  
შემოისახსნა ცტუსალები, გაექცა გან-  
ზენი.

— ეშმაკებისენ ხართ. დამეხმარეთ.  
ათი წელინადია, ამას გემუდარებით. თქვე-  
ნი მეწყვილე სადღა გადაიკარგა?

ის იყო, აბულასანს უნდა ეტქვა, სამა-  
ლეთში დარჩა, რომ საიდანდაც, თითქოს  
ცხრა კედელს იქიდან, ამ კედელთა  
მბზარავი გადარეული ყიურინა მოესმა.

ასურასტანი ერთი მიხედა ფანჯარას და  
ზარი დარევა.

— ეშმაკებისენ ხართ. დამეხმარეთ.  
ათი წელინადია, ამას გემუდარებით. თქვე-  
ნი მეწყვილე სადღა გადაიკარგა?

ის იყო, აბულასანს უნდა ეტქვა, სამა-  
ლეთში დარჩა, რომ საიდანდაც, თითქოს  
ცხრა კედელს იქიდან, ამ კედელთა  
მბზარავი გადარეული ყიურინა მოესმა.

ასურასტანი ერთი მიხედა ფანჯარას და  
ზარი დარევა.

— გაიგო ერთი, ვინ ღრიალებს? დაიღ-  
ალენენ ტუსალე



შოთა იათაშვილი, პოეტებს შორის, ერთ-ერთი პირველია, ვინც ძალიან დიდი ხნის წინათ, 80-იანების ბოლოს, სტუდენტობისას გავიცანი. მას მერე ბევრი რამ მოხდა, ზოგადად, ადამიანთა ცხოვრებაში. ბევრმა იცვალა გეზი — ჯერ ლექსებით და მოთხრობებით იყიდალა, მერე კი სხვადასხვა მიზეზით ჩამოშორდა ხელოვნებას და რა სფეროში აღარ დაკავდა. რაღა შორს წავიდე, მეც, ძე შეცდომილივით, ამ ათი წლის წინღა დავანებებით თავი უსრნალისტიკას და ლიტერატურულ საქმიანობას დავუძრუნდი. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ზოგი წავიდა, ზოგი კი დარჩა. დარჩა და იმ საშინელ 90-იან წლებს სწორედ ამ ლექსებთა და მოთხრობებით შეხვდა.

მაშინ ერთდღოულად ხდებოდა ყველაფერი — ცუდიც და კარგიც. სახლები მეტად და მეტად ბეჭედებოდა და ცივდებოდა, ხოლო ადამიანები მეტად და მეტად თბებოდნენ და ნათდებოდნენ. მათ პირველად მოისმინეს ლექსები გასტრონომია და მინისქვემა გადასასვლელში, ყვავილებში ჩაფლული ჰალსტუბიანი მწერლების მაგივრად სცენაზე პირველად დაინახეს პოეტი, რომელსაც „სეტკაში“ ცარიელი ბოთლები ეწყო და ასე კითხულობდა ლექსებს... პირველად შეისუნთქეს ნიშადურის სპირტი ქარვასლაში, პეფორმანსზე... და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი საოცრება ნახეს პირველად...

ყველა მახსოვეს, ვინც დარჩა — დათო  
ჩიხლაძე, ზურაბ რთველიაშვილი, გიორგი  
ბუნდოვანი, ბადრი გუგუშვილი, დათო  
ბარბაქაძე, ომარ თურმანაული და სხვები  
და სხვები... ყველას ვერ ჩამოვთვლი.

შოთაზე ვკონცენტრირდები. ისიც  
ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც არსად წა-  
სულა. და არც საცხობი, არც „ბუტკა“  
გაუხსნია, არც პოლიტიკაში ჩაბმულა და  
არც — მეტალურგიაში.

მაშინ ლექსებისა და პერფორმანსების  
ანაბრად ყოფნა, ლამის სიკვდილს უდრი-  
და, ფიზიკურ სიკვდილს. მაგრამ შოთა  
დარჩა ამ ქალაქის მარადიულ ლიტერ-  
ატურულ პერსონაჟად, ხან თვალში მო-  
სახვედრი პრაგმატიზმით, ხან კი —  
უკონაკანო ულოგბრძელობითა და წარ-

უკიდეგაზო გულუბიოყვილიონითა და თაი-  
ურობით.

ამხელა ექსკურსი მისმა სულ ახლახ-  
ანს გამოცემულმა ლექსების კრებულმა  
გამაკეთებინა. „პოეტური გამოცდილების  
სიმწარე“ — ასე ჰქვია გამომცემობა „ინ-  
ტელექტულის“ მიერ დაბეჭდილ წიგნს და  
შეუძლებელია, სანამ წიგნს გადამლით,  
სათაურმა სწორედ ის პერიოდი რომ გაგა-  
სენოთ, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე.  
„

შოთა ლიტერატურულ სამყაროში თავიდანვე ასეთი გამოჩნდა — უშუალო და ლექსებით მოსაუბრე. მისი ტრანსპოზიცია არ შეცვლილა ისევე, როგორც კითხვის მისეული ინტონაცია... მან თითქოს ინტუიციურად იგრძნო ის ხმა თუ მიმართულება, რომელიც იმ წლებში ყველაზე მგრძნობიარედ გაიჟღერებდა ერთფეროვნებისგან დალლილ და ჩირივით გამომშრალ-დანაოჭებულ საზოგადოებაში. „ჰეი!“ — შესძახა მაშინ მან ხალხს და ხალხმა მოიხედა. ზოგს მოეწონა, ზოგმა საჩვენებელი თითო საფეხქელთან დაიტრიალა, ზოგმა ხელი ჩაიქნია, ზოგი დაიმტედა. მაგრამ დაინტერესებით თითქმის ყველა დაინტერესდა. რადგან ის მათ ენაზე საუბრობდა და საუბრობს. არაფერს არ ართულებს, არ მაღალფარდოვნებს, არ დაჰყურებს დედამინას სავარძელზე მოკალათებული და განყენებული.

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, შოთა  
იათაშვილი დაბნეული პოეტია. მე  
ვფიქრობ, რომ სწორედ ესაა მისი ლექსების  
ძირითადი თვისება. რომ არა დაბნეულობა,  
ის ვერ მიენდობოდა განწყობას, სი-  
ტყვას, ემოციურ ლოგიკას და ლექსებს,  
დაწერის მაგიერ, შექმნიდა, შეაკონიხებდა,  
შეთხავდა და იქ რაფინაციის სულ სხვა  
ხელოვნება იქნებოდა საჭირო, რათა  
თვითმყოფადობა შეენარჩუნებინა, საკუ-  
თარი ოსტატობა ერვენებინა. აქ კი მისი  
ნიჭიერება ბუნებრიობაშია. ასე მგონია,  
როგორც დაწერს, ასევე ტოვებს, უცვლე-  
ლად, თითქოსდა ლექსს კი არ ქმნის, თავის  
ფიქრებს გადმოგცემს ქაოტურად. ეს დაბ-  
ნეულობა, სხვისი აღსარებების მოსენა  
მოსწონს მკითხველსაც. საერთოდ, გულ-  
წრფელობა ხელოვანისთვის ერთ-ერთი  
უმთავრესია და უძლიერესია იარალია სხვა  
აუცილებელი ინსტრუმენტების თანხ-  
ლებით, ცხადია. სწორედ ეს დაბნეულობა  
და გულწრფელობა მიზეზი, რომ შოთას  
ლექსების მკითხველი უფრო ემპათიური

ალურად მიაჩნია და შერე რა, თუ ძათ  
გადაჭრა არ შეუძლია. საკითხების წი-  
ნამოწვევით ის იქნებ უკეთ გვანახებს პრობ-  
ლემას, ვიდრე მათზე პასუხის გაცემით.


„რა ვქნა მე ახლა,  
ვისი ვინამო — ბრიყვის, ჭკვიანის,  
ბრძენის თუ იმის  
ვინც გასხივოსნდა?  
ერთ ლერ სიგარეტს რომ მოვწევ ახლა  
დავიჯერო, რომ სამი ნუთი გავიდა,  
თუ — არ დავიჯერო?  
დღე რომ გავა, დავიჯერო,  
დღე გავიდა თუ — არ დავიჯერო?  
ნელი რომ გავა, დავიჯერო, ერთი ნელი  
გავიდა თუ — არ დავიჯერო?  
და საერთოდ, რა სჯობია — დავიჯერო?  
თუ არ დაიჯერო?

ხდება, ვიღორე მანამდე იყო, რადგან სურ  
ვილი უწინდება, გახდეს ავტორის თანამო-  
საუბრე, ზოგ შემთხვევაში — შეკითხვები  
ის დამსმელი, ზოგჯერ კი — მოპასუხე.

საუკეთესო, რაც კი დღეს ინტერება, ზოგისთვის იქნებ საშუალოზე უფრო დაბალი ხარისხისაა, მაგრამ ერთ რამეში აღმართ ყველა დამეთანხმება — მოყვარულნიც და მოკრიტიკენიც — მის ლექსები სხვებისას არასოდეს ჰგავს. ითვიოთმყოფადია, არავის გავლენას განიცდის, ვერავის მიამსგავსებ, მისი ხასიათობრივი ნაივურობა ლექსებში კიდევ უფრო მძაფრად ისმის. ის დემონსტრირებს გულუბრყვილობას, ის ხანდახან „ყვირის

## ლელა კოდალაძვილი

# ქალაქებისა დ ჰყავთ თავისთი ლიტერატურული პერსონაჟები



A black and white close-up photograph of a man with a shaved head. He is holding his hands up to his face, with his fingers covering his eyes. The lighting is dramatic, coming from the side, which creates strong highlights on his forehead, nose, and cheekbones, while leaving much of his face in shadow. His expression is one of distress, exhaustion, or despair. The background is dark and out of focus, with several bright, circular light sources visible, suggesting an urban night environment.

ის გავლენებში არიან მოქცეულნი, ხოლო საშუალონი და საშუალოზე უარესი კი ერთმანეთის სტრიქონებით, ერთმანეთის მეტაფორებით, ერთმანეთის გამონაცვალი ტროპებით იკვებებიან. იათაშვილი მარტოდმარტო წერს. როცა მუშაობს, არავინ ახსოვს, ერთგვარ პოეტურ ნეტარებაში ვარდება და მხოლოდ მაშინ გამოდის იქიდან, როცა ტექსტს დაასრულებს.

„მოხყენილი სიზიფე ვარ,  
უინდამცხრალი,  
საკუთარ ბედს

და მერე დიდხანს, სასოწარკვეთილს  
საბოლოოდ შეგუებული“.

და დამუშავების მიზნები, თუ რა მოკლედ და ლა-  
კონურად გადმოსცა შენი საფიქრალი, სხ-  
ვაგან ამბობს:

„კედელი იყო ყონუ და გამოსლე,  
მიცავდა კარგად“.

შინაურ მდვდელს შენდობა არა აქვს  
და, მოკლედ, ისე მოხდა, რომ შოთას  
არცერთ წიგნზე არასოდეს დამინერია  
რეცენზია. ალბათ ამიტომ, ყველა საკითხს  
ამ წერილში შევეხე, განვლილ წლებს, სხ-  
ვადასხვა დროს დაწერილ ლექსებს, მიმა-  
რთულებებს... ის კი არა, ალაგ-ალაგ  
საუბრის მისეული ინტონაციაც კი გამე-  
პარა... საბოლოოდ კი იმის თქმა მინდო-  
და, რომ მისი ეს ბოლო კრებული ერთი  
ჩვეულებრივი და იმავდროულად  
არაჩვეულებრივი დღიურივითაა, რომელ-  
იც პოლიტემატიკურობის გამო ყვე-  
ლასთვის შეიძლება, საინტერესო აღ-  
მოჩნდეს — პოეზიასთან მწყრალად მყო-  
ფი „ნეანდერტალელი“ ადამიანიდან დაწ-  
ყებული, ლექსის გურმანებამდე.

ნანგარმოვბს ზღლაპარი თუ ჰეჭვია, სულაც არ ნიშნავს, რომ მხოლოდ პატარებისთვის დაწერეს. ლევან ბოლქვაძის ზღლაპარი მოზარდების, მათი მშობლების, პედაგოგების წასაკითხი წიგნია. ყველაზე მეტად კი პედაგოგების ყურადღება მინდა მივიძყრო, მხოლოდ ერთი მიზეზით — საუკეთესო კლასგარეშე საკითხავი რომ უკავშირდებოდა მის მიერთება.

ნააღმდეგო ფასის კაბინეტი

ვარ გმიო კოხსატახტიძეს, შეტახელად  
ჭაბუქას ასე გვაცნობს:

„მკითხველო, შესაძლოა 12 წლის ბიჭი  
არც ისე პატარა გერჩენოს, მაგრამ, როცა  
გიამბობ თავს რაც გადახდა, მაშინ დამეთ-  
ანხმები, რომ მისთვის ასეთი ფათერაკები  
ნამდვილად ნაადრევი იყო. „ძალაუნებ-  
ურად პარალელს ვავლებთ: შესაძლოა, მა-  
ვანს 21 წლის ბიჭი არც ისე პატარად ერჩე-  
ნა, გადასახლებაში გასაგზავნად გაიმეტა,  
თუმცა რაც თავს გადახდებოდა, ეტაპით  
მეზავრობდიდან დაწყებული დაბრუნებამ-  
დე, დარწმუნებული ვარ, ნაადრევი იქნე-  
ბოთა მისაღვის.

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ ପାତ୍ରଙ୍ଗମ

გამომცემლობა „ნაკადულის“ მაშინ-დელმა დირექტორმა, არჩილ სულაკაურ-მა გარისკა და 1978 წელს „ზღაპარში მოხ-ვედრილი ბიჭის ამბავი“ გამოსცა. 35 წლის შემდეგ გმომცემლობა „ინტელექტუალის“ წევ-ნი კვლავ შეგვასენა და ნანარმოებს მნ-ერლისა და ლიტერატურათმცოდნის, მაკა-ჯოხაძის წერილები დაურთო. მაკა ჯოხ-ანში ლოლუა მოწყდა, მეფის ერთ-გულებით გამორჩეულ ქალს დაეცა, იქვე გაათავა და მეფემ მისი სახელმწიფო ხარ-ჯზე დაკრძალვა პრძანაო. ჯანიანი, ყურებდაცვეტილი ბიჭები დაძრნიან და ამონმებენ, ეჭვი ხომ არავის ეპარება, ეზო-ში თოვლი რომ დევს.

ტური ძენეფულებების გაძმ მას იქალია-ში არ აღიარებდნენ, მაშინ როდესაც, რო-დარის ზღაპრები საბჭოთა კავშირის ლაშ-ის ყველა რესპუბლიკაში იყო ნათარგმნი, მისი ნაწარმოებების მიხედვით ანიმაციურ თუ მხატვრულ ფილმებს იღებდნენ, სპექტაკლებს დგამდნენ. თუმცა, დრომ დამოკიდებულებები შეცვალა, ჩიპოლინო, ჯელსომინო თუ სხვა პერსონაჟები მსოფლიოს ნებისმიერი ბავშვისთვის საყვარელ გმირებად იქცა. დღეს, დიდი თუ პატარა ჯანი როდარის ზღაპრებს რომ კითხულობს, სულაც არ აფიქრებს მწერლის პოლოგიკური მრწაში.

ინის გამა სიძლერისთვის დაპატიმრეს, მღეროდა — „გაზაფხული მალე მოვა.“ საიდან უნდა სცოდნოდა ჩვეულებრივ მოკვდას, გაზაფხული როდის მოვიდოდა, სეზონის ცვლილება ხომ მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული! ლასის მამას დააბალეს, განზრას დადიხარ უქუდოდ, მოხდა რომ არ დაგჭირდეს (წესის თანახ-მად კაცი მეფის სასასხლეს რომ ჩაუვლიდა, ქუდი უნდა მოეხადა). ყვავილი თუ ხმებოდა, მებაღეს იჭერდნენ, ტორტი თუ არ ამოვიდოდა — მზარეულს, ზოგისთვის აკრძალული კალენდარი ეპოვათ, ზოგს თახიოლრათ ქარტი უკა ზამთაში მია-

ლევან ბოლქვაძის წიგნი, იმუშამინდელი პოლიტიკური ატმოსფეროს გამო, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა სათანადოდ ვერ მიიღოდა აღიქვა. მასა ჯოხაძე თავის წერილში იხსენებს, რუსებმა გაიკვირვეს, რა გადათარგმნაზეა საუბარი, საერთოდ როგორ გამოეციოთ ეს პოლიტიკური პამყვლეტიო? მაგრამ რა სიტუაცია გავაქვს დღეს? ნუუچ არ დადგა დრო, საბაზეო ლიტერატურის ისტორია- ტაკვენდებული უცემა ცალია, ას- შინ როდესაც მეფეს გაზაფხული გამო- ეცხადებინა.

საყოველთაო განუკითხაობას ისიც ემატებოდა, რომ „დიდი მათემატიკოს“ პირველი მინისტრი ცდილობდა, კველაფერი ფორმულებით აეხსნა. გამოყვანილი ჰქონდა „სარგებლობის კოფიციენტი“ და პატიმრების შეილები სულ იმის მოლოდინში იყვნენ, იქნებ ფორმულებით ჩვენი მშობლების თავისი უფლება გამოიყ-



ვანოსო. „დაწინაურებას ახარისხებას ეძა-  
ხდა, დამცრობას ფესვის ამოღებას, თუ  
ვინგძე შევიწროვებდა, იტყოდა — შევკვე-  
ცოთა, ზოგჯერ ადამიანი თუ შეეწირებო-  
და სახელმწიფო ინტერესებს, მაშინ ნუ-

მაკა ლდოკონენი

## ზღაპარი, როგორც სინამდვილე



ლამდე დავიყვანეო.

ნიგბში კომიზმით დატვირთულ პასა-  
ჟებს უხვად შეხვდებით, თუნდაც ის ფაქტი  
რად ღირს, რომ სახელმწიფოში ორგვარი  
კანონი ჰქონდათ: ურლვევი და მეორე-  
სასახლის „სიკეთის დეტექტორის“ ისარი  
ნულს თუ გაუთანაბრდებოდა, სამზარეუ-  
ლოში ობლებს მიიყვანდნენ, აჭმევდნენ და  
როგორც კი ისარი ერთო ერთეულით აინ-  
კვდა, კინწის კარით ყრითნის.

სიტუაციას მშვენივრად აანალიზებდა პროფესორი კომპოტინი. მეცე ჩიგიდი ამ-ჩნევდა, რომ კომპოტინი ყველა მის მინისტრზე ჭკვიანი იყო და ამიტომაც ბრძანა, გიჟად გამოაცხადეთო. თუმცა, ბოლომდე არ გასწირა, სასახლეშივე გაუხსნა „სიკე-თოლლების ლაბორატორია“ და პენსიაც დაუნიშნა.

ავტორიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი ტიპიური სიტუაციაა — განსხვავებულად მოაზროვნებისადმი დამოკიდებულება, როგორც წესი, მსგავს ჩარჩოებში ჯდება. პარალელი შეგვიძლია გურამ დოჩანაშვილის „სამოსელ პირველთანაც“ გავავლით. ორივე ნაწარმოები ხომ დაახლოებით ერთ პერიოდში, ერთი და იგივე სახელმწიფო ბრივი მქართვალობის თროს შეიქმნა.

გვეკუთიოს და გადაგვიდეთან! ტბიანი სოფლების მყვიდრი გამხდარ-ნი არიან, ცასა და მცენარეებს იკვლევენ. მზრუნველ მარშალს ეს პრობლემაც არანაკლებ აფიქრებს: „მაგათი წამალი სიმსუქეებია!“ ცისა და ქვეყნის გაგების

სურვილი ძღმის სურვილად რომ გადა-  
ექცევთ, საუკეთესო მზარეულებს, ცხარე  
სანელებლებით შექმაზული ღორის ხორ-  
ცით კვებას და ღვინით თრობას გამოუწ-  
ერს — რამეთუ, „სიმსუქნე იმითიცა კარ-  
გი, გაძელულებას დაუკარგავთ!“

„უზურპატორის ფანტაზია უსაზღვროა.  
„კამორელთა პირქუში კერპი“ გრეგ რიკიო  
პროფესორ კომპოტინინივით საუკეთესო  
პირობებშია გამომწყვდეული. ხალხის  
თვალში მარშალი ბეტანკური მას ქედმაღ-  
ლობას აიძულებს: „ადამიანი შენში უნდა  
ხედავდეს იმ სითამამეს და შეუპოვრობას,  
რაზეც დამდამობით, იშვიათად, შეუგნე-  
ბლად ოცნებობს!“ სინამდვილეში კი სა-  
მარცხვიონდ დამონებული ჰყავს, მარშა-  
ლის შეთავაზებული, „ვარდისფერკრემი-  
ანი, გაყდენთილი და დარბილებული ნამ-  
ცხვარი“ სამწერაოდ მოჩვენებითა!

დავუძრუნდეთ ლეგან ბოლქვაძეს.  
სასახლევი სიკეთის დონე (ჰუმან-ინდენტი) კატასტროფულად რომ დაეცემა, კომპოტინი „სულიერი გაჯანსაღების მეცნიერულ გეგმას შეიმუშავებს.“ მეცე იდეს მიინონებს და „სიკეთმცოდნეობის კურსებზე“ სავალდებულო სამწლიან სწავლებას შემოიღებს. თუმცა, გაუზნეურებულ თანამდებობის პირებს და მეფის კართან დაახლოებულ დიდგვაროვნებს ზრდილობიანი საუბარი და ყოფაქცევა მაღლ მობეზრდებათ, ჩივილს დაინტერენ: „ქვეყნის შიგნით სიკეთის კომპანიამ კიდეც რომ მოიტანოს სარგებელი, საერთაშორისო ასპარეზზე გამოვჩნდებით ცუდად. სიკეთის ქადაგება უძლურების ნიშნად არის მიჩრეული ყველგან. მეზობელი ქვეყნები ეჭვის თვალით დაგვიწყებენ ყურებას.“

„სიკეთის ბეგარისგან“ თავი რომ დაიძურინონ, პრობლემის მოგვარების ორიგინალურ ხერხს შეიმუშავებენ: ჩიტები თუ აღარ მოყრინავენ, რა პრობლემაა — დამურებს ჩათვლიან ჩიტებად, ყავილები არ ხარობს და ხმარებიდან ამოიღებენ, „უაზრო ნებივრობად“ გამოცხადებენ. კომპოტინს კი მეტი თავისუფალი დრო რომ ჰქონდეს სამუშაოდ, ციხეში გაამწესებენ და ასე შემდეგ.

ყვავილების დატირება

ტექსტის მაღლომხატვრული ღირებულება განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურება. შთამბეჭდავია გლოცინის დაბრუნების მომენტი, როდესაც მცენარეს სასახლის აიგანზე ცხოვრება აღარ შეუძლია, გარდის, ჭიშკარს ევლება, მაგრამ იჭერნ და პირვანდელ ადგილზე ძალით აპამენ. ექსპრესიული რიტუალებით დატვირთულია ყვავილების დატირება:

სასახლის გალავნის ჭიშკრიდან გამხმარი ხეები და ბუჩქები ურმებით გამოაქვთ, „ზღაპრული მცენარეები ნაზამთრალ ქაცვასა და ბარდას დამსგავსებია,“ ზოგიერთი საყვარელი ყვავილი პრინცესას ძვირფას ქოთანმი ჩაუსვენებია და თავის სარკმელთან ბალში დაუმარხავს. ტიტებს, მისაკებს, ნარგიზებს, გიაცინტებს კი ძვირ-

თას ტახტოვანზე ასვენებები...  
მხატვრული ხერხებითა და ირონიული  
ქვეტექსტებით გამორჩეული თავია „მშვი-  
თა ძალაძე“

